საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №275
2023 წლის 18 ივლისი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართ №II-04-ის (საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია) დანართ „გ“-ს შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი „დ“ – „სესხების აღრიცხვა“:

დანართი „დ“

სესხების აღრიცხვა

შინაარსი	საანგარიშო პერიოდის საწყისი ნაშთი	ზრდა საანგარიშო პერიოდში		შემცირება საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდის საბოლოო ნაშთი
		სულ	მათ შორის, გადაფასება	სულ	მათ შორის, გადაფასება	
	1	2	3	4	5	6
გაცემული სესხ(ებ)ი						
მიღებული სესხ(ებ)ი						

2. 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. დეკლარაციის დანართ „დ“-ს სვეტებში აისახება გაცემული და მიღებული სესხების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

ა) გაცემული სესხ(ებ)ის:

ა.ა) პირველ სვეტში აისახება საანგარიშო პერიოდის საწყისი თარიღის მდგომარეობით გაცემული სესხ(ებ)ის ნაშთი;

ა.ბ) მე-2 სვეტში აისახება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხ(ებ)ის ზრდა ნებისმიერი ფორმით;

ა.გ) მე-3 სვეტში აისახება მე-2 სვეტში ასახული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა

გადაფასებით;

ა.დ) მე-4 სვეტში აისახება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხ(ებ)ის შემცირება ნებისმიერი ფორმით;

ა.ე) მე-5 სვეტში აისახება მე-4 სვეტში ასახული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა გადაფასებით;

ა.ვ) მე-6 სვეტში აისახება საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღის მდგომარეობით გაცემული სესხ(ებ)ის ნაშთი;

ბ) მიღებული სესხ(ებ)ის:

ბ.ა) პირველ სვეტში აისახება საანგარიშო პერიოდის საწყისი თარიღის მდგომარეობით მიღებული სესხ(ებ)ის ნაშთი;

ბ.ბ) მე-2 სვეტში აისახება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხ(ებ)ის ზრდა ნებისმიერი ფორმით;

ბ.გ) მე-3 სვეტში აისახება მე-2 სვეტში ასახული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა გადაფასებით;

ბ.დ) მე-4 სვეტში აისახება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხ(ებ)ის შემცირება ნებისმიერი ფორმით;

ბ.ე) მე-5 სვეტში აისახება მე-4 სვეტში ასახული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა გადაფასებით;

ბ.ვ) მე-6 სვეტში აისახება საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღის მდგომარეობით მიღებული სესხის ნაშთი.“.

3. დანართი №II-08[6]-ის „დანართ 2“-ის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის „დანართი 3“ - „სესხების და კაპიტალის აღრიცხვა“.

4. 40[1] მუხლის მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. დეკლარაციის დანართ 3-ის („სესხების და კაპიტალის აღრიცხვა“) სვეტებში აისახება გაცემული და მიღებული სესხ(ებ)ის, ასევე როგორც საწარმოს კაპიტალში, ისე საწარმოს მიერ სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

ა) გაცემული სესხ(ებ)ის:

ა.ა) პირველ სვეტში აისახება საანგარიშო თვის საწყისი თარიღის მდგომარეობით გაცემული სესხ(ებ)ის ნაშთი;

ა.ბ) მე-2 სვეტში აისახება საანგარიშო თვის განმავლობაში გაცემული სესხ(ებ)ის ზრდა ნებისმიერი ფორმით;

ა.გ) მე-3 სვეტში აისახება მე-2 სვეტში ასახული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა გადაფასებით;

ა.დ) მე-4 სვეტში აისახება საანგარიშო თვის განმავლობაში გაცემული სესხ(ებ)ის შემცირება ნებისმიერი ფორმით;

ა.ე) მე-5 სვეტში აისახება მე-4 სვეტში ასახული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა გადაფასებით;

ა.ვ) მე-6 სვეტში აისახება საანგარიშო თვის ბოლო თარიღის მდგომარეობით გაცემული სესხ(ებ)ის ნაშთი;

ბ) მიღებული სესხ(ებ)ის:

ბ.ა) პირველ სვეტში აისახება საანგარიშო თვის საწყისი თარიღის მდგომარეობით მიღებული სესხ(ებ)ის ნაშთი;

ბ.ბ) მე-2 სვეტში აისახება საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული სესხ(ებ)ის ზრდა ნებისმიერი ფორმით;

ბ.გ) მე-3 სვეტში აისახება მე-2 სვეტში ასახული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა გადაფასებით;

ბ.დ) მე-4 სვეტში აისახება საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული სესხ(ებ)ის შემცირება ნებისმიერი ფორმით;

ბ.ე) მე-5 სვეტში აისახება მე-4 სვეტში ასახული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნა გადაფასებით;

ბ.ვ) მე-6 სვეტში აისახება საანგარიშო თვის ბოლო თარიღის მდგომარეობით მიღებული სესხ(ებ)ის ნაშთი;

გ) საწარმოს კაპიტალის:

გ.ა) პირველ სვეტში აისახება საანგარიშო თვის საწყისი თარიღის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის ოდენობა;

გ.ბ) მე-2 სვეტში აისახება საანგარიშო თვის განმავლობაში საწარმოს კაპიტალის ზრდა;

გ.გ) მე-4 სვეტში აისახება საანგარიშო თვის განმავლობაში საწარმოს კაპიტალის შემცირება;

გ.დ) მე-6 სვეტში აისახება საანგარიშო თვის ბოლო თარიღის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის ოდენობა;

დ) სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის:

დ.ა) პირველ სვეტში აისახება საანგარიშო თვის საწყისი თარიღის მდგომარეობით სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის ოდენობა;

დ.ბ) მე-2 სვეტში აისახება საანგარიშო თვის განმავლობაში სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის ზრდა;

დ.გ) მე-4 სვეტში აისახება საანგარიშო თვის განმავლობაში სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის შემცირება;

დ.დ) მე-6 სვეტში აისახება საანგარიშო თვის ბოლო თარიღის მდგომარეობით სხვა საწარმოში რიცხული კაპიტალის ოდენობა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**